

## ირლანდია

- ირლანდიაში სახმელეთო ამანათი იგზავნება მოკითხვამდე პირობით. სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის ოფისში.
- ირლანდიის ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის ჩაბარების ვადების ათვლა იწყება სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ორშაბათიდან:

ირლანდია	
ქალაქი	ჩაბარების ვადა
დუბლინი	15-17 კალენდარული დღე

- ესტონეთში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:

ქალაქი	გაცემის პუნქტი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
დუბლინი/Dublin	Glencullen House.Kylemore Road.Dublin 10.D10 K729	+353 83 193 33 55 +353 89 954 4636 (viber, WhatsApp)	ორშაბათი-პარასკევი 09:00 - 18:00; შაბათი -კვირა 10:00-18:00

**გასათვალისწინებელია:** სახმელეთო ამანათი იგზავნება მხოლოდ ცხრილში მითითებულ ქალაქში, გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება არ ხორციელდება აღნიშნული ქალაქის მეზობელ, მოსაზღვრე ან/და ახლოს მდებარე სხვა რომელიმე ქალაქში.

- ირლანდიის მიმართულებით სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულება (გარდა მედიკამენტებისა), გამოითვლება ფაქტიური წონისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ამავე კატეგორიის გზავნილზე 1 კგ-სთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 5 კგ-მდე წონის ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნი/ადრესატი იხდის ფიქსირებულ - 5 კგ-სთვის დადგენილ ტარიფს.
- მედიკამენტების გაგზავნის შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ ტარიფს.